


სახალხო გაზეტი

სოციალისტური ჟურნალი

გაზეტის № 678

დამატების № 119

კვირა, 19 აგვისტო 1912 წ.



ზღვის პირად: ვინ ვის აჯობებს?—ნახატა ელსლეისა.

ერთი მრავალთავანი.

(ესკიზი).

(ძღვანად არჩილ ჯორჯაძეს).

მე და ლევან არბოელიძე პატარაობიდანვე თან-შეზრდილი ამხანაგები ვიყავით; სამოქალაქო სასწავლებელიც ერთად დავასრულეთ; ამის შემდეგ კი, ბედმა თუ უბედობამ, ერთმანეთს გაგვაშორა. მე, სრულიად მოულოდნელად, რუსეთში ამოვეყავ თავი, ლევანი საოსტატო ინსტიტუტში შევიდა. ჩვენი განშორების პირველ ხანებში დღე ისე არ გაივლიდა, რომ ლევანისაგან რაიმე წერილი არ მომსვლოდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, წერილების წერას თანდათან ვუკლებდით და, ბოლოს, თვეში ერთის წერილითაც კი არ მოვიკითხავდით ერთმანეთს. ბოლოს ეს შემაერთებელი ძაფიც გაწყდა და... ერთმანეთი დავკარგეთ კიდევ. ათასში ერთხელ, ისიც მარტოობის დროს, თუ გამივლევდა თავში ლევანზე ფიქრი, მაგრამ ისიც რაღაც ანაზღაურდა; ერთს წამს წარმოვიდგენდი ლევანის მშვიდს, ლამაზს სახეს და ერთბაშად სულ სხვა რამეზე ვიწყებდი ფიქრს...

ერთს საღამოს, მზე უზარ-მაზარ ცეცხლის ბურთივით ხანტად ეშვებოდა თვალ-უწვდენელ ზღვის უფსკრულში და ოქროს ფერად აბრწყვიალებულ სხივებს უკანასკნელად უგზავნიდა დედამიწას; გაზაფხულის მომხიბლავ ღამის წყვილიანი ნელ-ნელა ეპარებოდა არე-მარეს და, შეყვარებულებით გულში იხვევდა საყვარელს არსებას, მთელს ბუნებას ოდნავ გამსჭვირ-

ვალს საიდუმლოებით სავსე საფანეში ჰხვევდა, ცივ ცის ტატნობზე აქა-იქ მკრთალადა კრთოდა ოდნავ მბუჭტავი ვარსკვლავები და ღიმილით დაჰყურებდნენ მყუდროებით მოჯადოებულს ბუნებას.


უმიზეზო კაეშნით გარემოცული, ნელა გავსწიე ზღვის პირად გაშლილ ბალისკენ. საშინლად მომწყურდა ნაცნობ-მეგობრებისაგან თავის დაღწევა და მინდოდა, რომ ჩემი თავი განმარტოებით მეგრძნო ყველასაგან და მხოლოდ ბუნებისათვის განმეზიარებინა საკუთარი ჭირ-ვარამი, ბოღმა, კაეშანი...

გავიარე ხეივანი და ზღვის პირად გრძელს სკამზე ჩამოვჯექი. იმდენად გამიტაცა ბუნების სიმშვენიერემ, რომ თავი ვერ შევიკავე და რაც ძალი და ღონე მქონდა, ხმა მალა გადავძახე ზღვას: „ჰაუუ!“ საიდუმლოებით მოცულ ზღვის გულიდან გამომეხმაურა ვიღაც და ჩემს გიჟურს საღამოზე გიჟური საღამოთვე მიპასუხა.

ირგვლივ გამეფებულს წყვილიად აქა-იქ დაჰკრა მთავრის შუქმა, გაარღვია ბნელი ზეწარი, კეკლუცად გაუთამაშა ოდნავ მოლიკლიკე პაწია ზვირთებს, ლაფვარდოვან გვირგვინით შეუმოსა ზღვას მთელი ზედა პირი და დაეკონა ქვიშიან კიდენაპირებს. ნიავემაც ჩამოუქროლა, ცელქად გაისისინა ბუჩქებში, თავს მოველო ზვირთებს და ისევ ზღვის შუაგულისაკენ მარბდათ გაჰქროლა. მაგრამ, თითქოს გული დასწყდა, რომ ასე ერთბაშად მიატოვა დედამიწა, ისევ გამოინავარდა რაღაც საიდუმლოებით სავსე ჩოჩქოლით და კვლავინდებურად გაუთამაშა არე-მარეს, ძილში წასულ ხეებსა და ჩირგვებს.

— „დასტკბი, დასტკბი ბუნებაე! — თითქოს გაიძახოდა ის

პრეზენტრ აღმსანდრე სხანაუვილის დაკრძალვა.



განსვენებული კუბოში.



მიცვალებულს გასვენება გოლოვინისპროსპექტით.



გამოსვენება ქვანეთის ეკლესიიდან.



წერა-კითხვის საზოგადოების წინ

—და შენც ორთეხა ჭიავ—ადამიანო—მუდამ თავი რომ მოგაქვს შენის ცოდნითა და სილიადით, დასტკბი... მე გიამბობ მომხიბლავ ზღაპარს ზღვის ქალისას, რომელსაც მიჯნური ცხრა მთას იქითა ჰყავს გადაკარგული და რომლის ლოდინ-შიაც მუდამ ცრემლს აფრქვევს“.

მოგწყდი საწუთროს, ერთიან გავითქვიფე ბუნების წილ-ში და ოცნებად ქცეულ სამთავროში ამოვყავ თავი. წყეულ სინამდვილის შვილი ანგარიშ მიუცემლად ვსტკბებოდი ბუნე-ბის მომჯადოებელ მშვენიერებით; თან მივყვებოდი ნიავს, მი-სი გრძნეული ენა საიდუმლოება იყო ჩემთვის და ტკბილად ჩამჩურჩულებდა ყურში:

— „ადამიანო, სალამი უძღვენ ბუნებას! ქელი მოიხარე მის სილიადისა და ძალთა-ძალის წინაშე. ხომ ჰხედავ, როგორ გა-ყურებულა ზღვა: ეხლა იგი სალამოს ლოცვად სდგას და სამა-დლობელ მსხვერპლსა სწირავს უზენაესს. შეიძლება ხვალ ისევ აზვირთდეს მოღუნებული ზღვა, წარბი შეიკრას ბუნებამ და სამგლოვიარო ძაძით შეიმოსოს ტრედის ფერი ცის ციავი. და, მაშინ ვაი შენ!.. არ დაგინდობს, შთავნთქავს და ერთის დაკვრით მიწასთან გაასწორებს შენს თავმოყვარეობას და შენს გაზვიადებულ წარმოდგენას ადამიანზე და მის „საგანგე-ბო დანიშნულებაზე“ ამ ქვეყნად... ჰა, რა იყო? რას იშმუშნე-ბი? არ მოგწონს განა, რომ თავმოყვარეობით სავსე, მაგრამ მდილს, მდილი გიწოდე. აბა, შეადარე შენი ქვეყნიური არსე-ბობა თუნდაც ამ ზღვას და დარწმუნდები, რომ მდილი ხარ და სხვა არაფერი! გესმის,—არაფერი!“..

თითქოს შევეცოდე, თითქოს დაენანა ბუნების ლალს შვილს ადამიანის არარაობაზე ნათქვამი და ჩამჩურჩულა:

— „მაგრამ, ჰო, დამავიწყდა, რომ შენ ადამიანი ხარ, ცოდვილ დედამიწის ცოდვილი შვილი და მსგავსად ძმათა

შენთა წუთიერ სიამოვნების მონა. და რაკი ეს ასეა, მოდი, მოგიღებენ ჩემებურად და ისევ გეტყვი ზღაპარს ზღვის ქალი-სას“.

— გეტყობა მეტად გაუტაცნიხარ ფიქრებს, რომ აგერ მესამედ არის გამოგენმაურე და პასუხს კი არ მაძლევ!—მხარ-ზე ხელის შეხებით ხმა მალლა გამომელაპარაკა ვილაცა.

ზე წამოვარდი, თვალები მოვიფშვნიტე. ჩემს წინ ერთი ნაბიჯის მანძილზე ადამიანის სახით რალაც არაჩვეულებრივი სანახაობა ვიხილე. გამხმარი, გაყვითლებული, წელში მოხრი-ლი, ის უფრო იმ ქვეყნიდან მოსულს აჩრდილს წააგავდა, ვი-დრე ცოცხალს ადამიანს. მხოლოდ თვალები, შავი დიდრონი თვალები ჰმოწმობდნენ, რომ ჩემს წინაშე მართლა ხორციე-ლი ადამიანი იდგა და არა ჩვენება.

— აბა, თუ მიცნობ ვინცა ვარ?—ისევ გამომეხმაურა იგი, როდესაც პირველს მისალმებაზე ჩემგან პასუხი ვერ მიიღო; გონს მალე მოვედი, ერთბაშად მივხედი, რომ ყოველივე სინა-მდვილე იყო და უნებლიედ წამოვიძახე:

— უკაცრავად, მაგრამ ველარა გცნობთ... თითქოს მინა-ხეიხართ სადღაც, მაგრამ სად, ვერ მომიგონია თქვენი თვა-ლები...

— ეხ, ჩემი თვალები ოდესღაც ცეცხლს აფრქვევდნენ, ეხლა კი...—ნაღვლიანად წარმოსთქვა და ბოლოს დაუმატა:— ნუ თუ ვერც ეხლა მცნობ?

— ღმერთო ჩემო! ეს ხმა, ეს მოალერსე ხმა! ნუ თუ მარ-თლაც ის არის?— ლევან, ნუ თუ შენ?

არ ვიცი, რამდენს ხანს ვიყავი ასე, ვიცი მხოლოდ, რომ თბილმა გრძნობამ დამიარა, დამათრო, დამიმონავა... ასეთს გრძნობას განიცდის ადამიანი, როდესაც დიდის ხნით სამშობ-ლო მხარეს მოწყვეტილი კვლავ უბრუნდება მშობელს კერას და საყვარელ არსებას პირველად ჩაეკვრება გულში.



— რა მშვენიერი საღამოა! — წარმოსთქვა ლევანმა — სხვა, შენ როგორ ხარ?

— ჯერ შენ მიახმე, სად იყავი, რას აკეთებდი და მერე ჩემსას გეტყვი. არა გრცხვენია, ასე რომ დამივიწყე; ერთს დროს მე და შენ ხომ განუყრელი ამხანაგები ვიყავით?

— ჩემი შენ ვითხარი, გული მოგიკალიო, სწორედ ამას ჰქვია. ბიჭო-და, თუ ჩვენში დამნაშავეა ვინმე, ისევ შენ და არა მე... სადგურიდან პირდაპირ შენსკენ გამოვწიე, მაგრამ ბინაზე შენი არც ასავალი იცოდნენ და არც დასავალი. მთელი დღე ქალაქში დაგეძებდი, თანაც მემინოდა, რომ ვინმე მზვერავს არ შეგვნიშნე, მაგრამ ვერ ვიპოვე. ბოლოს გადავწყვიტე აქეთკენ გამოსეირნება იმ იმედით, რომ შემთხვევით მაინც მენახე და, არც მოგსტყუვდი.

— გმადლობ, ჩემო ლევან, რომ არ დამივიწყე. გარწმუნებ, არც მე დამივიწყებინარ. რუსეთში ყოფნის დროს, ხშირად გამიღვებდა გონებაში შენი სახე, მაგრამ რაკი შენ არას მწერდებ, მეც ვლუმი. მხოლოდ ამ უკანასკნელს ხანებში გავიგე, რომ შენთვის გადასახლება მიუსჯიათ. ვისაც კი დაგვეკითხე ამის მეტი ვერა მითხრა რა.

— შენს წინაშე, მეგობარო, ჩრდილოეთის ცივ გუბერნიიდან გამოპარული დამნაშავე სდგას, რომელსაც მეტად მძიმე დანაშაული მიუძღვის სახელმწიფოსა და სამშობლოს წინაშე. — მწარის ირონიით დათავა მან.

ჩემს წინაშე ძველი ლევანისა მხოლოდ აჩრდილი-და იდგა. ოდესღაც წარმოსადგეი, ლამაზად მოყვანილი, სიცოცხლით სავსე და მოძრავი, ეხლა რაღაც უცნაურად გახუნებულიყო და ვაჟაკობის ძველი რიხის ნასახივ არ შერჩენოდა.

მთვარე დასავლეთისაკენ მიეშურებოდა. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაჰყურებდა იღუმალებით მოცულს ბუნებას და რაღაც განსაკუთრებულის სიყვარულით თვალს ადევნებდა ადამიანისათვის შეუმჩნეველს ბუნების მოძრაობას. ნიავე ჩვეულებრივ დასისინებდა ზღვის სივრცეში, კვლავინდებურად თავს ევლებოდა მთვარის შუქზე შვიდ ფერად გამომჰვირვალ ოღნავ მოლივლივ პაწია ზვირთებს და ისევ ისე უმღერდა მთელს არე-მარეს მომხიბლავ ზღაპარს, განწირულებაში მყოფ ზღვის ქალისას...

სდუმდა ლევანი. ეტყობოდა, ზღვის წარმტაც საღამაზეს ისიც მოეჯადოვებინა და ხმა გაკმედილი სცილობდა არაფრით დაერღვია გარს გამეფებული მყუდროება. ბოლოს ერთი ღრმად ამოიოხრა, ნაღვლიანად შეაჩერდა ზღვის სივრცეში რაღაც გამოუცნობს წერტილს და ხან მოკლე დუმილის შემდეგ ოღნავ მიბნედილის ხმით შემდეგი მიახმო:

— შენ გინდა გაიგო, თუ რამ გამოიწვია, ჩემს გარეგნობაში ასეთი ცვლილება, რამ დამაბეჩავა? რატომ დავკნინდი, დაჭრავდი ასე? ყური დამიგდე და მოკლედ მოგიყვები ჩემს თავ-გადასავალს.

— რაც ერთმანეთს დავშორდით, ბევრი რამ შეიცვალა ჩემში, მაგრამ დაწვრილებით ვერ მოგიყვები. არც ისე საინტერესოა შენთვის და შეიძლება მოსაწყენიც იყოს. ჯერ სა-მოსწავლო ინსტიტუტში ამოვყავი თავი, როგორც იქნა, მე-3-მე კურსამდე მივალწიე, მაგრამ ერთს მშვენიერს დღეს დამითხოვეს. მიზეზი, რასაკვირველია, არ დაუსახელებიათ, რად-

განაც იმ ხანებში ასეთს წვრილობას რამეზე თავს როდი იწუხებდნენ. ისე კი, ვიცოდი, რომ მეტად მავნე პირად მთვლიდნენ, როგორც „ყოვლად შეუწყნარებელ მიმართულების“ ადამიანს. მეტი რა გზა მქონდა, ავიკიდე ბარგი-ბარხანა და სა-მულამოდ გამოვეთხოვე ინსტიტუტს. მაინც შეძლების დაგვარად, ვცდილობდი ტოლ-ამხანაგებს უკან არ ჩამოვრჩენოდი და პირველი თუ არა, უკანასკნელი მაინც არ ვყოფილიყავი მათ შორის... ვეცნობოდი ევროპის ისტორიას, საფრანგეთის დიდს რევოლიუციას, 48 და 70 წლების კომუნას... ბოლოს, პოლიტიკურმა საკითხებმა ისე გამიტაცა, რომ საზღვარ-გარედ წასვლაზედაც კი ვფიქრობდი. მაგრამ გავიხსენებდი თუ არა ჩვენი ცხოვრების უფერულობას, ოცნებას თავს ვანებებდი... სხვაგან წასვლას შინ მუშაობა არ მერჩინა?... თანაც ვგრძობდი, რომ ჩვენი დახავსებულ ცხოვრების განსახლებლად სა-ქირო იყო ისეთი მოძრაობა, რომელიც ერთის დაკვრით შიშის ზარს დასცემდა ძილად წადებულს საზოგადოებას, გამო-აფხიზლებდა და ცხოვრებასაც ახალ კალაპოტში ჩააყენებდა. მაგრამ როგორ, ან რა ნაირად უნდა მომხდარიყო ყოველივე ეს? — ამისი ახსნა არ შემეძლო. და აი, ჩემი პირადი ტრაგე-დიაც სწორედ აქ იყო.

მოგზაურობა სოფლად.



მოგზაურნი კ. მ. ამირაჯიბთან შუაში ზის თვითონ კ. მ. ამირაჯიბი. (იხ. „სახ. გაზეთი“, სანგანიძის წერილები).



მოგზაურნი კ. მ. ამირაჯიბთან ავღვეში. (იხ. „სახ. გაზეთი“, სანგანიძის წერილები).

მეტად შავ-ბნელი, მეტად სულის შემეხუთავი იყო მაშინ-დელი სინამდვილე. — ხსნა კი არ საიდან სჩანდა, ვიხრჩვებოდი, ვიხუთებოდი, მწყუროდა ფრთების გაშლა, მაგრამ ვაი, რა საამისოდ ცხოვრება მოუმზადებელი იყო: იძულებული ვიყავ ჩემი სულისა და გულის საუკეთესო მოძრაობანი ჩემშივე უხმოდ ჩამეკლა, სამუდამოდ და-მეხშო...

ბოლოს ერთ მომკმედს ჯგუფს შევეურთდი. ამ დღიდან იწყება ჩემი და ჩემთან ერთად ქართ-ველ მომკმედ ინტელიგენციის ტკილი, მაგრამ იმავე დროს ძალღ-უაღური ყოფნა და სი-ცოცხლე.

თავდაპირველად მეტად მცირე რიცხოვანი, მეტად პატარა იყო ჩვენი რაზმი, საგანი კი, რომელიც დასახული გვქონდა მიზნად — მეტად დიდი, უფარგ-ლო იყო. მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავდით და გაორკეცე-ბულის ენერგიით მივიწვედით წინ.

„კლდესაც ხვრეტს წვეთი თუ მუდამ ერთს ალაგს დაედინება“.

ვერ წარმოიდგენ, როგორ გა-მიტაცა ხალხში მუშაობამ. მთელის ჩემის ახალგაზღურ ენე-რგიით, მთელის ჩემის არსებით გადავეხვი ამ ახლად აზრხილ ცხოვრების ზღვაში და იქ პირველად განვიცადე ჩემს სი-ცოცხლეში უღრმესი სულიერი

კაყოფილებაც და უკმაყოფილებაც. მართლაც, ჩემს წინაშე თვალ-უწვდენელი ზღვა იშლებოდა, ზღვა ვრდომილთა და ჩა-გრულთა, რომელთაც უვიცობაში, საკუთარ თავის, საკუთარ ღირსების შეუგნებლობაში ჰხდებოდათ სული. ყოველივე ეს ახალი იყო ჩემთვის და, აბა, თვითონ წარმოიდგინე, რა მძიმე ლოდით უნდა დამწოლოდა გულს თვალ-წინ გადამლილი კა-ენიანი სინამდვილე. თუმცა რამდენადაც უიმედო, უნუგეშო იყო მწარე სინამდვილე, იმდენად უფრო ვიორკეცებდით სუ-ლის ძალასა და ღრმად გვრწამდა, რომ „ვინც ეძიებს — ის ჰპოვებს“ — ხალხის გათვითცნობიერების პირველი მერცხლები

ჩვენ ვიყავით. პირველად ჩვენ ვაქტივით სიტყვა საქმედ და პირველად ჩვენ მოვიმარჯვედ ხალხისადმი უნაგარო სიყვარული. ამ სიყვარულში ამოვავლეთ ჩვენი სული და გული.

ხალხი, აქამდე ტყვედ ქმნილი, თითქოს ინსტიტუტურად ჰგრძნობდა ახალ მესიათა შემოსევას, გულ-დასმით ყურს უგდებდა ყოველ ახალ სიტყვას, ახალ აზრს და თან-და-თან სულ მეტისა და მეტის ნდობითა და თანაგრძნობით გვეკიდებოდა. თვე თვეს მისდევდა, წელიწადი წელიწადს, გარეგნულად თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივ მიმდინარეობდა, მაგრამ ფხიზელი თვალი უკვე შეამჩნევდა, რომ ახალი ცხოვრება იღვავდა ფეხს. საშინელის სისწრაფით იზრდებოდა ჩვენ მიერ დაწყებული საქმე. თან-და-თან გვემატებოდნენ ახალი ძალები, ახალი რაზმები და რამდენადაც რიცხვით მრავალი ვხდებოდით, იმდენად, ჩვენდა სასიხარულოდ, იზრდებოდა ხალხის გულში უმადურ ცხოვრებისადმი ზიზი და სიძულვილი. ოდესღაც დაკნინებული, ყოველსავე ადამიანურ უფლებებს მოკლებული, — დღეს ზეზე დგებოდა, თავს მალდა სწევდა, თითქოს იმისთვის, რომ განგებისათვის ეთქვა: — „კმარა, ამიერიდან შენგან აღარას მოველითო“. უმათავრესი მისია შესრულებული გექონდა: ხალხში მარჯვედ გატყორცნილი გექონდა ახალი მცნება: ძმობა — ერთობის... დანარჩენი კი თავის-თავად კეთდებოდა, ნელ-ნელა წენდებოდა და სტიქიურად ღებულადა ხან მახინჯსა და ხან ლამაზს სახეს...

— არ მინდა ამ საგანზე ხანგრძლივად გებასო, რადგანაც შენც ხომ ჩვენი დროის შვილი ხარ და კარგად იცი, თუ რა მიზნისა და იდეალის განსახორციელებლად მოუწოდებდა ჩვენს ხალხს მისივე ღვიძლი შვილი — მომქმედი ინტელიგენცია...

ლევანმა ღრმად ამოიოხრა, თითქოს ჰსურდა გულის სიღრმეში დაგუბებულ ბოლმისათვის გასავალი ეშოვა. მერე ამოიღო პაპიროსი, გაჰკრა ასანთს, რამდენჯერმე ხარბად შეისუნთქა კვამლი და ხან-მოკლე სიჩუმის შემდეგ ისევ განაგრძო:

— ხომ გახსოვს, 1905 წლის სუსხიან ზამთარში — რუსეთის საგანაფხულო დღეები? ხომ გახსოვს, რა აღფრთოვანებით, რა რწმენა — იმედებით ამოძრავებული შეხედ და მას რუსეთის მოწინავე საზოგადოება? ხომ გახსოვს, როგორ ვყოყოჩობდით და ნასწავლად მოგვექონდა თავი? ვეროპას დავციხნოდით და ღრმად გვრწამდა, რომ ქვეყნად დავამყარებდით თანასწორობას... და, არ უნდა გაგიკვირდეს, მეგობარო, რომ იმ ხანებში, როდესაც „მთელი ხალხი ერთის ზღვიდამა მეორემდე — ერთს ფიქრს ჰფიქრობდა“, მეც დამვიწყებოდა ყოველივე, ხელი ამეღო ჩემს პირად ცხოვრებაზე, ჩემს პირად „მე“ — ზე და სავსებით შემეწირა იგი საყვარელ საქმის საკეთილდღეოდ. მეტად ფერადოვანი, აღმამფრენი და მძლავრი რყო მაშინდელი სინამდვილე. და, აი, მეც, ანგარიშ მიუტყვებლად გადავეყვი ამ აზვითებულ ცხოვრების მორევში. ან, ვის შეეძლო მაშინ შეეკავებინა თავი და რჯალურ ძალთა ნამდვილ განწყობილებაზე ეფიქრა? სადღა იყო დრო ამა თუ იმ მოვლენის დასაფასებლად, ან რომელ მოკლილს შეეძლო მაშინ ასეთ წვრილმან რამეზე დრო დაეკარგა?! ცხოვრება სდულდა, ხალხი ჰქუხდა, სრულიად ვერ ვამჩნევდით, რომ მეტერს არ ეძინა: მხოლოდ მარჯვე შემთხვევას ელოდა.

და ასეც მოხდა!..

ადრე იცვალა ფერი ცხოვრებამ და სულ სხვა სახე მიიღო წყეულმა წუთი-სოფელმა. ამოცოცდნენ ცხოვრების ზედა-პირზე, მიმალული ბნელი ძალები და სიკვდილის მოციქულად მოველინენ ხანგრძლივ შრომის ნაყოფს.

ლევანი აქვითინდა. ღამის სიბნელეში მოელვარე თვალთა სიღრმეიდან გამოკრთა კენტად შობილ კრემლის ცვარი, რომელიც ჯერ ობლად გადმოეკიდა ქუთუთოს, ცოტა ხანს შემაგრდა ზედ, მაგრამ მერე, თითქოს მოსწყინდა ობლად ყოფნაო, მძლავრ ნაკადულად დაეშვა ლევანის ჩამხმარ-ჩაყვითლებულ ლოყებს.

შევკრთი, კანკალმა ამიტანა... მძლავრი იყო ლევანის სევდა, საშინელი იყო მისი სულის მდგომარეობა და ჩემდა უნებურად გული ამიჩუყდა... მეც ხომ მისი ქვეყნის შვილი ვიყავ, მისი სისხლი და ხორცი, მისი ღვიძლი ძმა!

წამოვიწიე, მაგრად ჩავკიდე მეგობარს ხელი და, ვერხვის ფოთოლივით მთრთოლვარე ვაჟ-კაცი, მაგრად ჩავიკარ გულში.

— კმარა, ლევან, დაწყნარდი! — ვამშვიდებდი, მაგრამ ლევანი გულ-ამოსკენით ქვითინებდა.

ასე დასტირის დედა თავის პირში შვილს, როდესაც ცივს სამარეს აბარებს; ასე დასტირის სატრფო საყვარლის გაცივებულს გვამს, როდესაც უკანასკნელად ემშვიდობება; ასე სტირის მხოლოდ ქვეშაირტი მამულის შვილი, როდესაც ძვირფასს სატრფოს შეგინებულს და მანდილ ახდილსა ჰხედავს...

ბოლოს, როგორც იქნა დაწყნარდა ლევანი. ერთს ხანს ჩუმად იყო, არ ინძრევდა, დაოსებულა იჯდა თვალზე დახუჭული, თმა აბურძგვილი, ფერ-წასული.

— ოხ, ეს წყეული ნერვები! ასეთი მგრძნობიარე ნერვები რომ არა მქონდა, არც ასე დავიანჯვბოდი... საცაა გათენდება, მე კი ჯერაც არ დამისრულებია ჩემი თავ-გადასავალი...

შუა ღამე კარგა გადასულიყო. მთვარე სისწრაფით მიეშურებოდა დასავლეთისაკენ, თითქოს ეშინოდა, განთიადის მაუწყებელ პირველ სხივს არ შეესწრო მისთვის. აქამდე ძილში წასული ზღვა ნელ-ნელა იღვიძებდა, იშმუშნებოდა. მის ზედა პირს მთვარის შუქზე ლივლივი გაჰქონდა და ვერცხრის ფერ სხივთა მორევში აბანებდა მდლიდან კაშკაშ-ციმციმით მატქერალ ციავს. ნიავი კი უსისინებდა არე-მარეს, ლალად დაჰქროდა ოდნავ ფაფარ აყრილ ზღვის ზვირთებს შორის, თავს ევლებოდა, მერე ნაპირისაკენ წამოიტყუილებდა და რალაც გამოუცნობ ჩოქოლით შეაჯახებდა ქვიშიან ნაპირებს. შრომის შვილს ჰაწია ნავზე აფრა გაეშალა და თამამად მიჰქროდა ზღვის შუაგულისაკენ ბადის სასრალოდ. სხანს, განთიადისათვის უნდოდა დაესწრო, რომ მოხერხებულ ადგილას გაჩერებულიყო და განცხრომაში მყოფ თევზებისათვის ხელმარჯვედ გაეგა ანკესიან ბადეთა ხლართი.

— ეხლა რალა ბევრი გავაგრძელო, ბარემ მოკლედ გეტყვი, რომ არც მე ამცდა დევნა, სოფლიდან სოფელში გადასვლა, ერთი ქალაქიდან მეორემდე ნებსით თუ უნებლიედ მოგზაურობა და თავშესაფარ ადგილის ძებნა. ბოლოს მაინც გამცა ვილაც თავზე ხელ-აღებულმა და ციხეში მიკრეს თავი. დიდ ხანს არც იქ დამტოვეს და შორეულ ცივ გუბერნიაში ამომაცოფინეს თავი. მახსოვს დამცველ განყოფილების უფროს ჟანდარმთა პოლკოვნიკის დამცინავი სიტყვები:

— ბ-ნო არბოელიძე, გარწმუნებთ, როდესაც არხანგელსკში ჩაბრძანდებით, მადლობით მომიხსენებთ. თქვენ, რომ როგორც სამხრეთის შვილი, მეტად მხურვალე სისხლისა და ნერვების პატრონი ბრძანდებით და ძალიან მოგიხდებათ რუსეთის ცივი ზამთარი.

სისხლი ყელში მომებჯინა, მაგრამ რა უნდამეთქვა. უნებურად გავილიძე და ვუპასუხე:

— არც იქ მოგასვენებთ. იქაც ხომ თქვენები არიან, ჩვენსავით ადამიანურს უფლებებს მოკლებულნი. ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს საბოლოოდ.

— უცნაური ადამიანი ბრძანდებით! ნუ თუ ყველაფერი წაგებულად არ მიგაჩნიათ და კიდევ შეგრჩათ რისიმე იმედი? ნეტარ არიან მორწმუნენი! — ხმა მალდა ჩაიციხა და გაბრუნდა.

— დიად, ნეტარ არიან მორწმუნენი! ჩვენი მართალი მანც აჯობებს თქვენს მართალს! — მივმართე ბრაზიანად.

სამი თვის ციხიდან ციხეში გადასვლის შემდეგ, როგორც იქნა, მივადწიე დანიშნულს ადგილს. ღმერთო! რა საშინელს კონტრასტს წარმოაფგენდა იქაურობა, ტურფა საქართველოს ბუნებასთან შედარებით. რამდენადაც მწირია იქაური ბუნება, იმდენად მწირი და უშინაარსია მცხოვრებთა სულიერი მხარე და თვითონ იფიქრე თუ რა საშინელს ტანჯვა-წამებას განვიცდიდი სამშობლო მხარეს მოწყვეტილი.

(დასასრული იქმნება).

ლადო ახოზაძე.

